



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD

**CENN**  
Shaping the Future by Changing Today

ცალკეული  
EMBRACETsalka

# LAG-ის ნებრების შასაძლებლობების გაძლიერება

საქართველოს  
მართვის კუთხით



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD



# LAG-ის ნებრების შასაძლებლობების გაძლიერება

საპარო ფინანსების  
მართვის კუთხით

დოკუმენტი შემუშავებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის - ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის წალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში („ესწალკაა“)-ფარგლებში. მისი მიზანია წალკის მუნიციპალიტეტში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საჯარო ფინანსების მართვის კუთხით და მათი მონაწილეობის გაძლიერება მმართველობით პროცესებში.



ესწალკაა  
EMBRACETsalka

აგვისტო, 2020

# სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. ინფორმაცია ბიუკეტის შესახებ .....	3
3. სახელმწიფო ბიუკეტი.....	8
4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტი.....	12
5. მოქალაქეთა ჩართულობა .....	21
6. მდგრადი განვითარების მიზნები .....	28

## დიაგრამები

<b>დიაგრამა 1.</b> ბიუკეტის კომპონენტები .....	3
<b>დიაგრამა 2.</b> ბიუკეტის მთლიანი სალდოს ფორმირება.....	4
<b>დიაგრამა 3.</b> საბიუკეტო პროცესი.....	7
<b>დიაგრამა 4.</b> სახელმწიფო ბიუკეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესი .....	8
<b>დიაგრამა 5.</b> სახელმწიფო ბიუკეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება.....	10
<b>დიაგრამა 6.</b> მუნიციპალიტეტის შემოსულობები წყაროების მიხედვით.....	12
<b>დიაგრამა 7.</b> დღგ-ს განაწილების პრინციპი მუნიციპალიტეტებს შორის .....	13
<b>დიაგრამა 8.</b> მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ტრანსფერების სახეები .....	18
<b>დიაგრამა 9.</b> მუნიციპალიტეტის საქმიანობის ზედამხედველობის სახეები .....	20
<b>დიაგრამა 10.</b> მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შინაარსი.....	14
<b>დიაგრამა 11.</b> მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტის მომზადება და წარდგენა .....	14
<b>დიაგრამა 12.</b> მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება .....	16
<b>დიაგრამა 13.</b> მუნიციპალიტეტის ბიუკეტის შესრულების ანგარიშის შინაარსი .....	17
<b>დიაგრამა 14.</b> მუნიციპალიტეტის მიერ სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია .....	25
<b>დიაგრამა 15.</b> მდგრადი განვითარების მიზნები .....	28

# 1. შესავალი

საჭარო ფინანსების მართვა გულისხმობს სახელმწიფო რესურსების აკუმულირებას, განკარგვასა და კონტროლს მოქალაქეების საჭიროებაზე ორიენტირებული ხარისხიანი მომსახურების ეფექტურად და ეფექტურად განვის მიზნით. აქედან გამომდინარე, საჭარო ფინანსების მართვის გამართული მექანიზმის ჩამოყალიბება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სიღარიბის აღმოფხვრის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საყოველთაო და მდგრადი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პროგრესის მისაღწევად.

წარმატებული საჭარო ფინანსების მართვის საკვანძო მახასიათებელი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. შესაბამისად, საჭარო ფინანსების მართვის დახვეწილი სისტემა ითვალისწინებს ინფორმირებული მოქალაქეების არსებობასა და მმართველობით პროცესებში მათ ჩართვას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, მკითხველებს გააცნოს საჭარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ბიუჯეტი, ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე არსებული საბიუჯეტო პროცესები და საჭარო მმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობა საზოგადოებრივი სიკეთეების მაქსიმიზაციის მიზნით.

# 2. ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ

ბიუჯეტი არის საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების<sup>1</sup> ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ.

ბიუჯეტი წარმოადგენს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების შესასრულებლად საჭირო სახსრების მოძიების, მობილიზებული თანხების გადანაწილებისა და აუცილებელ ღონისძიებებში დახარჯვის გეგმას. იგი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ ასაღები სესხის მოცულობას, გავლენას ახდენს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით განვითარებაზე და წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს.

## სტრატეგიული ბიუჯეტი

- შემოსავლები
- არაფინანსური აქტივების კლება (პრივატიზაცია)
- ფინანსური აქტივების კლება (მთავრობის მიერ გაცემული სესხების დაფარვა)
- ვალდებულებების ზრდა (სესხის აღება)

## ბიუჯეტის დაფლურებები


- ხარჯები
- არაფინანსური აქტივების ზრდა (კაპიტალური ხარჯები)
- ფინანსური აქტივების ზრდა (მთავრობის მიერ სესხის გაცემა)
- ვალდებულებების კლება (სესხის დაფარვა)

შემოსულობები - გადასახდებები = ნაშთის ცვლილება

დიაგრამა 1. ბიუჯეტის კომპონენტები

<sup>1</sup> ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფული. თუ შემოსულობები მეტია გადასახდელებზე, ხდება ნაშთის დაგროვება. თუ შემოსულობები ნაკლებია გადასახდელებზე, ხდება ნაშთის გამოყენება. ნაშთის დაგროვებას ამ გამოყენებას ნაშთის ცვლილება ეწოდება.

ბიუკეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუკეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუკეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუკეტის მთლიანი სალდო. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუკეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო – ბიუკეტის დეფიციტი. დეფიციტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს ვალდებულების ცვლილება ან ფინანსური აქტივების ცვლილება.



#### **ღიაგხამა 2. ბიუკეტის მთღიანი საღიანო ფორმისა**

საქართველოს საბიუკეტო კოდექსი განასხვავებს სხვადასხვა ტიპის ბიუკეტს, მათი დაფარვის არეალიდან გამომდინარე. მათ შორის:

სახელმწიფო ბიუკეტი - საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტი – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა;

ერთიანი მუნიციპალური ბიუკეტი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტისა და მის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუკეტების კონსოლიდირებული ბიუკეტი. ერთიანი მუნიციპალური ბიუკეტი არ ექვემდებარება ხელისუფლების არცერთი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებას.

## **პროგრამული ბიუკეტირება**

საქართველოს საბიუკეტო სისტემა ეფუძნება პროგრამულ ბიუკეტირებას, ანუ შედეგზე ორიენტირებულ ბიუკეტირებას. პროგრამული ბიუკეტირების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს არა მხარჯავი უწყებისათვის გამოყოფილი რესურსების ოდენობა, არამედ, საბიუკეტო სახსრების ხარჯების შედეგად მიღწეული შედეგები, ვინაიდან საჯარო ფინანსები ნაწილდება კონკრეტული პროგრამების/ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში მისაღწევი შედეგების/შუალედური შედეგების მიხედვით. პროგრამული ბიუკეტი ასევე მოიცავს აგრეთვე ინფორმაციას შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

პროგრამული ბიუჯეტირება ხელს უწყობს, ერთი მხრივ, ანგარიშვალდებულების ზრდას დაინტერესებული მხარეებისადმი, ხოლო მეორე მხრივ რესურსების ეფექტური განაწილების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ქვემოთ პროგრამულ ფორმატშია წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დაგეგმილი ქვეპროგრამის „ქართული ჩაის“ შესახებ.

ქართული ჩაი (31 05 05)	
<b>ქვეპროგრამის განვითარებელი</b>	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
<b>აღნერა და მიზანი</b>	საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება, ჩაის წარმოების სექტორში ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის (მათ შორის, ბიოჩაის) წარმოების ხელშეწყობა; კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ხარჯის თანადაფინანსება კომპანიებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა მათი ბიზნესოპერატორებისთვის იჯარით გადაცემით; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩაის გადამუშავებელი დანადგარების თანადაფინანსება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
<b>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</b>	ბიო და ორგანული ჩაის წარმოების განვითარება
<b>შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები</b>	<b>საბაზისო მაჩვენებელი</b> - დაკონტრაქტებული სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციები შეადგენს 1 000 ჰა-ს; <b>მიზნობრივი მაჩვენებელი</b> - 5-მდე კოოპერატივის საწარმოო დანადგარებით აღჭურვა; <b>ცდომილების ალბათობა (%/აღნერა)</b> - 10%; <b>შესაძლო რისკები</b> - კლიმატური პირობები; ბენეფიციართა დაბალი აქტივობა.

**წყარო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

რაც შეეხება პროგრამების/ქვეპროგრამების მიერ რეალურად მიღწეულ შედეგებს, დაგეგმილ მაჩვენებლებთან შედარებით, ინფორმაცია წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, რაც, მათ შორის, ემსახურება საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულებისა და გამტვირვალობის გაუმჯობესებას. მაგალითად, ზემოხსენებული ქვეპროგრამის შესრულების შესახებ 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

### ქართული ჩათ (31 05 05)


#### ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგი	მიღწეული შუალედური შედეგი	
ბიო და ორგანული ჩაის წარმოების განვითარება	პროექტის ფარგლებში ბიო და ორგანული ჩაის წარმოების განვითარებისთვის ბენეფიციარებისთვის შეთავაზებულ იქნა ხელსაყრელი პირობები და გაფორმდა ხელშეკრულებები. კოოპერატივს გადაეცა ჩაის პირველადი დამუშავებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.	
საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი
დაკონტრაქტებული სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციები შეადგენს 1 000 ჰა-ს	5-მდე კოოპერატივის საწარმოო დანადგარებით აღჭურვა	<p>პროექტის ფარგლებში ბიო და ორგანული ჩაის წარმოების განვითარებისთვის ბენეფიციარებისთვის შეთავაზებულ იქნა ხელსაყრელი პირობები. ხელშეკრულება გაუფორმდა 5 ბენეფიციარს, პლანტაციების ფართობი შეადგენს 59 ჰექტარს, თანადაფინანსების მოცულობა - 96.5 ათას ლარს. 8 კოოპერატივს გადაეცა ჩაის პირველადი დამუშავებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარები.</p> <p>სულ, პროექტის ფარგლებში ხელშეკრულება გაუფორმდა 37 ბენეფიციარს, პლანტაციების ფართობი შეადგენს 1,024 ჰექტარს, თანადაფინანსების მოცულობა - 1,775.5 ათას ლარს. ამასთან, სოფლის განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის მაჩვენებელი: საანგარიშო პერიოდში 8 კოოპერატივი აღიჭურვა საწარმოო დანადგარებით; გაფორმდა 5 ხელშეკრულება, პლანტაციების ფართობი შეადგენს 59 ჰექტარს, რისთვისაც გამოიყო 471 ათას ლარზე მეტი.</p>

**წეახო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, „საქართველოს 2019 წლის სახედმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ შესჩერების ანგარიში.

## საბიუკეტო პროცესი

საბიუკეტო პროცესი არის საბიუკეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც შედგება 8 ძირითადი ეტაპისაგან, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე. აღნიშნული პროცესების მიმდინარეობა სახელმწიფო ბიუკეტსა და მუნიციპალიტეტის ბიუკეტებში დეტალურად იქნება განხილული წინამდებარე დოკუმენტის შესაბამის თავებში.



**ღიაგება 3. საბიუკეტო პროცესი**

## 3. სახელმწიფო ბიუჯეტი


სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

### 3.1 სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ბიუჯეტზე საუბრისას მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს - BDD-ის, რაც წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმას და ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე - ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება და წარდგენა კომპლექსური პროცესია და რამდენიმე ეტაპისაგან შედგება.



**ღიაგხამა 4.** სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესი


- BDD-ის მომზადების მიზნით ყოველი წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს საბიუკეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხასა და წარდგენის ვადებს;
- ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით საქართველოს მთავრობა ყოველი წლის 1 ივნისამდე წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- აღნიშნულ ინფორმაციაზე საქართველოს პარლამენტის კომიტეტები ამზადებენ დასკვნებს და 20 ივნისამდე უგზავნიან საქართველოს მთავრობას;
- საქართველოს სამინისტროები 30 ივნისამდე ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს;
- საქართველოს მთავრობა 10 ივლისამდე განიხილავს BDD-ის პირველად ვარიანტს;
- მხარჭავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუკეტო განაცხადებს წარუდგენენ 1 სექტემბრამდე, რაც შესაბამისობაში უნდა იქნეს BDD-სთან;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუკეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას 15 სექტემბრამდე;
- საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს 1 ოქტომბრამდე წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად.

ბიუჯეტის კანონის პროექტი თანდართული დოკუმენტაციით, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ბიუჯეტის შემოსულობებს, გადასახდელებს, ნაშთის ცვლილებას და მხარჭავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას;
- ბიუჯეტის პროფიციტის/დეფიციტის, სახელმწიფო ვალის მოცულობებს;
- მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის მოცულობას;
- ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებისა და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს;
- მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამების მიხედვით;
- ინფორმაციას სსიპ/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ.

### 3.2 სახელმწიფო ბიუკეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

საბიუკეტო პროცესის შემდგომი ეტაპები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.



**ღიაგხამა 5. სახელმწიფო ბიუკეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება**

- სახელმწიფო ბიუკეტის პროექტს, თანდართულ მასალებსა და BDD-ისს განიხილავს საქართველოს პარლამენტი. კომიტეტების დასკვნები ეგზავნება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუკეტო კომიტეტს, რომელიც ამზადებს დასკვნას და 22 ოქტომბრამდე უგზავნის საქართველოს მთავრობას;
- საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუკეტის პროექტისა და BDD-ის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად 5 ნოემბრამდე ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;
- სახელმწიფო ბიუკეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე. საქართველოს პარლამენტი ისმენს აგრეთვე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუკეტო კომიტეტის მოხსენებებს;
- სახელმწიფო მთავრობა სახელმწიფო ბიუკეტის პროექტის საბოლოო ვარიანტსა და მის შესაბამის BDD-ის გადამუშავებულ ვარიანტს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად 30 ნოემბრამდე წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;
- სახელმწიფო ბიუკეტის კანონის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის დეკემბრის მესამე პარასკევამდე. საბიუკეტო წლის დაწყებამდე სახელმწიფო ბიუკეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ბიუკეტის დამტკიცებამდე საქართველოს ფინანსთა მინისტრი უფლებამოსილია, მხარჭავ დაწესებულებებზე ყოველთვიურად გასცეს თანხა, მაქსიმუმ, გასული საბიუკეტო წლის დამტკიცებული ასიგურებების 1/12.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესაძლებელია ცვლილებების ინიცირება, რასაც სჭირდება საქართველოს მთავრობის თანხმობა. ცვლილებების პაკეტი დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

## ანგარიშგება

რაც შეეხება ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო 31 მარტამდე ამზადებს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ანგარიშს.

საქართველოს პარლამენტს ასევე წარედგინება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებასთან ან დაუმტკიცებლობასთან დაკავშირებით.

დაინტერესებულ მხარეებს საშუალება აქვთ, ბიუჯეტის კანონის პროექტისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გაეცნონ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე, ბიუჯეტის განყოფილებაში.<sup>2</sup>

<sup>2</sup> [https://mof.ge/saxelmwifo\\_biujeti\\_wlebis\\_mixedvit](https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit)

## 4. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი

ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტი არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია და საქართველოს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში. საბიუჯეტო საქმიანობაში დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე დელეგირებულ უფლებამოსილებათა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები.

### საკუთარი შემოსულობები

ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები

მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობით განკუთვნილი სხვა შემოსულობები

### არასაკუთარი შემოსულობები


სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსულობები

საქართველოს კანონმდებლობით განკუთვნილი სხვა შემოსულობები

### ღიაგება 6. მუნიციპალიტეტის შემოსუღობები წყაროების მიხედვით

დამატებული ღირებულების გადასახადთან (დღგ-სთან) დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2019 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად, გათანაბრებითი ტრანსფერისა და საშემოსავლო გადასახადის გარკვეული კომპონენტის ნაცვლად, მუნიციპალიტეტებში მიიმართება მობილიზებული დღგ-ის ფართი მოცულობის 19%. კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების პრინციპი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:



- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიხედვით
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვების რაოდენობის მიხედვით
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდების რაოდენობის მიხედვით
- მუნიციპალიტეტის რაოდენობის მიხედვით
- მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით

**გიაგხამა 7.** გლობულური განაწილების პერიოდი მუნიციპალიტეტებს შორის

## 4.1 მუნიციპალიტეტის ბიუკაფის პროექტის მომზადება და წარდგენა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო. მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და დამტკიცების მიზნებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას უზრუნველყოფს შესაბამისი მეთოდური მითითებებით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია, დროულად და სრულად მიაწოდოს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტის შესახებ.

## ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი არის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვანი სამოქმედო გეგმების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით.



#### ღიაგამა 10. მუნიციპარიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შინაახსი

სახელმწიფო ბიუკეტის პროექტის მსგავსად, მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესიც რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგარამაზე:




#### ღიაგამა 11. მუნიციპარიტეტის ბიუკეტის პროექტის მომზადება და წარმოდგენი

- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუკეტო წლის ძირითად საბიუკეტო პარამეტრებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტის პროექტის შესადგენად;
- მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტის მომზადების მიზნით შესაბამისი საფინანსო ორგანო საბიუკეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუკეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 5 ოქტომბრამდე აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუკეტის პროექტით შესაბამისი ბიუკეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს;
- მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტს პრიორიტეტების დოკუმენტან ერთად 15 წლებრივი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. კერძოდ, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მასში წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები:

- ბიუკეტის შემოსულობები, ნაშთის ცვლილება და თითოეული პროგრამისათვის/ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული დაფინანსების მოცულობა;
- ბიუკეტის პროფიციტის/დეფიციტისა და სარეზიტო ფონდის მოცულობები;
- დონორების მიერგამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებული პროექტები;
- პრიორიტეტები, რომელთა ფარგლებშიც საბიუკეტო ორგანიზაციები ბიუკეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათი აღნერა და მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები;
- მიმდინარე წლის ბიუკეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა;
- სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუკეტები.

## 4.2 მუნიციპალიტეტის ბიუკაფის პროექტის განხილვა და დამტკიცება

მუნიციპალიტეტის საბიუკეტო პროცესის შემდგომი ეტაპები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:



**დიაგრამა 12.** ღიგეგის ბიუკეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

- ბიუკეტის პროექტი საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჭარო განხილვისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჭაროდ იხილავს ბიუკეტის პროექტს;
- შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო 25 წოებრამდე ბიუკეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებებს მუნიციპალიტეტის მერს;
- ბიუკეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს 10 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს საკრებულოს;
- საკრებულო ახალი საბიუკეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტის პროექტის დამტკიცების შესახებ, რაც მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;
- ბიუკეტის პროექტის დამტკიცებიდან 20 დღის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუკეტის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტის დოკუმენტს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს – მიერ განხილვისას ბიუკეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუკეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი, ან მერმა არ გაიზიარა საკრებულოს შენიშვნები, საკრებულო უფლებამოსილია, სიითი შემადგენლობის 3/5-ით დაამტკიცოს საკრებულოს ფრაქციის ან საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუკეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ მერისათვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი წარილი.

მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია, თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუკეტო წლის ასიგნებების 1/12-სა. ახალი საბიუკეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში კი საქართველოს მთავრობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას, შემოიღებს პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას და ამტკიცებს ბიუკეტს.

მუნიციპალიტეტის წლიური ბიუკეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის.

## ანგარიშგება

ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუკეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუკეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუკეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს.

მუნიციპალიტეტის ბიუკეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოსადგენი ინფორმაცია მოცემულია დიაგრამაზე:

ბიუკეტის ბალანსი საბიუკეტო კლასიფიკაციის  
მიხედვით

ბიუკეტის შემოსულობებისა და გადასახდელების  
შედარება გეგმურ მაჩვენებლებთან

ბიუკეტის ანგარიშებზე  
არსებული ნაშთები წლის  
დასაწყისისა და  
დასასრულისათვის

ფონდებიდან  
გამოყოფილი  
სახსრები

პრიორიტეტების  
ფარგლებში საბიუკეტო  
ორგანიზაციების მიერ  
განხორციელებული  
პროგრამების/  
ქვეპროგრამების  
აღწერა და მიღწეული  
შედეგები

პროგრამების  
მიხედვით დაზსტებულ  
ასიგნებებსა და  
გადახდილ თანხებს  
შორის შეუსაბამობის  
განმარტება, თუ ასეთი  
შესაბამობა  
აღემატება 30%-ს

სიიპ-ებისა და ა(ა)იპ-  
ების ბიუკეტების  
შესრულების წლიური  
მაჩვენებლები

დიაგრამა 13. მუნიციპარიტეტის ბიუკეტის შესხვდების ანგარიშის შინაახსი

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო საკაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და 1 მაისამდე იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საკარო ინფორმაცია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

## 4.3 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფონდები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იქმნება შემდეგი ფონდები:

- სარეზერვო ფონდი - ფორმირდება გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. სარეზერვო ფონდიდან თანხები გამოიყოფა მერის გადაწყვეტილების საფუძველზე;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - განიკარგება მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

### ტრანსფერები

მუნიციპალიტეტმა შესაძლებელია, მიიღოს მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერები:

#### მიზნობრივი ტრანსფერი

მუნიციპალიტეტს  
გადაეცემა  
დელეგირებული  
უფლებამოსილებების  
განხორციელებისათვის

#### სპეციალური ტრანსფერი

მუნიციპალიტეტს  
გადაეცემა სტიქიური  
მოვლენების,  
ეკოლოგიური და სხვა  
სახის საგანგებო  
სიტუაციების შედეგების  
სალიკვიდაციოდ

#### კაპიტალური ტრანსფერი

მუნიციპალიტეტს  
გადაეცემა კაპიტალური  
პროექტ(ებ)ის  
განსახორციელებლად

**ღიაგხამა 8.** მუნიციპალიტეტისათვის გადაცემული ტრანსფერების სახეები

თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის ან/და კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. მიმართვაში უნდა აღინიშნოს მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

## მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ცვლილებების განხორციელება

წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვადასხვა პრიორიტეტისათვის განსაზღვრულ ასიგნებებს შორის ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. ცვლილების განხორციელება საკრებულოს შეუძლია მხოლოდ მერის წარდგინებით. თუმცა, ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამების, ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება, რაც არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს.

## მუნიციპალიტეტის ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ანგარიში გახსნილია სახელმწიფო ხაზინის ერთანი ანგარიშის სისტემაში. ანგარიშის მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე თანხის გადარიცხვაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ შესაბამის თვითმმართველ ერთეულს.

თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო აღრიცხავს თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეულ გადასახდელებს და ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.


## მუნიციპალიტეტის მიერ სისხის აღება და გრანტის მიღება

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობის ნებართვით თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და საკუთარი სახელით კაპიტალური ინვესტიციის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულება იურიდიული პირისგან. თუმცა, მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10%-ს. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, 10%-ზე მეტი მოცულობით აიღოს სესხი მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მის მიერ კონტროლირებული საკარო სამართლის იურიდიული პირისგან. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება დაუშვებელია.

მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის წებართვით საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღოს გრანტი.

## ადგილობრივი თვითმმართვალი ერთეულის საქმიანობის კონტროლი

მუნიციპალიტეტის საქმიანობის კონტროლის მიზნით განსაზღვრულია სახელმწიფო ზედამხედველობის ორი სახე:



**ღიაგხამა 9.** მუნიციპარიტეტის საქმიანობის ზედამხედველობის სახეები

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტუარობის უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება:

- სახელმწიფო აუდიტი - ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
- დამოკიდებელი აუდიტი - შეიძლება ჩატარდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით არაუმეტეს წელიწადში ერთხელ მოწვეული აუდიტორის მიერ. დამოკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ;
- შიდა აუდიტი - შეიძლება ჩატარდეს აღმასრულებელ ორგანოსა და მერიას და ხორციელდება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მერიის დებულების შესაბამისად. შიდა აუდიტის განმახორციელებელ სუბიექტებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

## 5. მოქალაქეთა ჩართულობა

მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის საჯარო შეხვედრები, საჯარო განხილვები, გამოკითხვები, პეტიციები ხელს უწყობს ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ნდობის გაღრმავებას, იძლევა მოქალაქეების რეალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისების განხორციელების საშუალებას და ზრდის საზოგადოებრივ კონტროლს. აღნიშნული მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც, საბოლოო ფამში, ხელს უწყობს კარგი მმართველობის ფორმირებას. მოქალაქეთა ჩართულობა განიხილება დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტად.

ძირითადად განასხვავებენ მოქალაქეთა ჩართულობის სამ ტიპს:

- **ინფორმირება** - ცალმხრივი ურთიერთობა, როდესაც ხელისუფლება მოქალაქეებს აცნობს კონკრეტულ ინფორმაციას;
- **კონსულტაცია** - ორმხრივი ურთიერთობა, ხელისუფლება მოქალაქეებს აცნობს ინფორმაციას და იღებს უკუკავშირს;
- **ჩართულობა** - მჭირდო თანამშრომლობა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის, როდესაც მოქალაქეები აქტიურ როლს ასრულებენ და უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ბიუკეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, ანუ მონაწილეობითი ბუჭეტირება. ეს უკანასკნელი ძლიერი ინსტრუმენტია ინკლუზიური და ანგარიშვალდებული მმართველობისთვის. მისი მეშვეობით აქტიურად ხორციელდება შეზღუდული საბიუკეტო რესურსების მოქალაქეების ყველაზე მწვავე საჭიროებზე პრიორიტეტულად მიმართვა. აღნიშნული ზრდის გამჭვირვალობას და მინიმუმამდე დაჰყავს საბიუკეტო რესურსების არასათანადო გამოყენების რისკი.

ჩართულობის აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს მოქალაქეების პირდაპირ ჩართულობას ბიუკეტირების პროცესში, რასაც საფუძველი ბრაზილიაში ჩაეყარა 1989 წელს და მის შემდგომ ფართოდ გავრცელდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

საყურადღებოა, რომ მოქალაქეთა მდგრადი და ეფექტური ჩართულობის პრაქტიკის დამკვიდრებასა და მისი მმართველობითი პროცესების განუყოფელ ნაწილად ფორმირებას სჭირდება მზაობა და ძალისხმევა როგორც ხელისუფლების, ასევე, მოქალაქეების მხრიდან.

### 5.1 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმაციის საკაროვნო სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოში მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციაზე წვდომის, მმართველობით პროცესებში თანამონაწილეობისა და ჩართულობის საკითხი რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით; კერძოდ:

- **საქართველოს კონსტიტუციის** მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს თავისი ნარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.<sup>3</sup> ყველას აქვს უფლება, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას.<sup>4</sup> საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3

- საქმეებს აწესრიგებუნ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით;<sup>4</sup>
- **საბიუკეტო კოდექსის** მიხედვით, როგორც ზემოთ აღინიშნა, მუნიციპალიტეტის ბიუკეტის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. საკრებულო საჯაროდ განიხილავს ბიუკეტის პროექტს და ახალი საბიუკეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუკეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.<sup>5</sup> ამასთან, მუნიციპალიტეტის ბიუკეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაცია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.<sup>6</sup>
  - **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით,** საჯარო ინფორმაცია, თუ ის არ წარმოადგენს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას, ან პერსონალურ მონაცემებს, ხელმისაწვდომია.<sup>7</sup> შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროექტიური გამოქვეყნება. თითოეული კოლეგიური საჯარო დაწესებულება<sup>8</sup> (მაგ.: საკრებულო) ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები.<sup>9</sup> იმავე კოდექსის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან.<sup>10</sup> ამასთან, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა.<sup>11</sup> ასევე, უნდა განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა;
  - „**გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ჩართულობას. კერძოდ, საზოგადოებას ეძლევა 60-დღიანი ვადა, შეისწავლოს და შეაფასოს გარემოზე ზემოქმედების ხარისხი.<sup>12</sup> კანონი ასევე განსაზღვრავს კომპანიის ვალდებულებას, მოაწყოს საჯარო განხილვა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრში;**
  - **ევროსაბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის მიხედვით,** რომელიც 2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა რატიფიცირებული, ქარტიის ხელმომწერი ქვეყნები აღიარებუნ მოქალაქეთა უფლებას, რომ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში;<sup>13</sup>
  - **ლია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP)** ერთ-ერთი პირველი წევრია საქართველო. შესაბამისად, საქართველომ გამოხატა მზაობა, რომ მის მიერგანხორციელებულიაქტივობებით მიჰყვესღიაობის, გამჭვირვალობის, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის პრინციპებს;
  - **ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი** არეგულირებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას. კერძოდ, მუნიციპალიტეტში უნდა შეიქმნას ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, საკრებულოს სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18

<sup>5</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 74

<sup>6</sup> საბიუკეტო კოდექსი, მუხლი 78

<sup>7</sup> საბიუკეტო კოდექსი, მუხლი 88

<sup>8</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 28

<sup>9</sup> საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთხე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთხე მეტი პირი ერთობლივად იღებს, ან ამზადებს;

<sup>10</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 32

<sup>11</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 118

<sup>12</sup> ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40

<sup>13</sup> „**გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ**“ საქართველოს კანონი, მუხლი 6

<sup>14</sup> ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, 1985 წლის 15 ნოემბერი, სტრასბურგი

მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის. ასევე, კანონმდებლობის დადგენილი წესის გათვალისწინებით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუკეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს მოქალაქეთა ჩართულობის რამდენიმე ფორმას:

- **დასახლებების საერთო კრება** - მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, გადაწყვეტისა და ინიცირების პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმა. საერთო კრება უფლებამოსილია, აირჩიოს საერთო კრების წარმომადგენელი, რომელიც უძლვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს. საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა. საერთო კრება სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად უფლებამოსილია:
  - განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, განსახორციელებელი, მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;
  - ორგანიზება გაუწიოს შესაბამისი დასახლების ტერიტორიის დასუფთავებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, ინფრასტრუქტურის შეკეთებასა და მოწესრიგებაში და სხვა იმ სფეროებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს მუნიციპალიტეტის ორგანოებს;
  - მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ.
  - საერთო კრებაზე საკითხის განხილვის შედეგად მიღებული შედეგები ფორმდება საერთო კრების ოქმით და წარედგინება მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს რეაგირებისთვის. ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი აცნობონ საერთო კრებას.

საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ:

- შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ს;
- მუნიციპალიტეტის მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით;
- საერთო კრების რჩეულს.
- **პეტიცია** - პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს ან/და საერთო კრებას. პეტიცია იწერება და შეიტანება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე. პეტიციის სახით

განცხადების  
ტექსტს

პეტიციის წარმდგენი  
პირის/პირების  
საკონტაქტო  
ინფორმაციას

პეტიციის  
წარდგენის  
თარიღს

პეტიცია უნდა  
ესეიციავდეს


შეიძლება წარდგენილ იქნეს:

- ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პრინციპები ან კონკრეტული წინადაღებები;
- მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია, განხილოს გადაგზავნილი პეტიცია და შედეგების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და პეტიციის წარმდგენ სუბიექტს აცნობოს პეტიციის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში.

- **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო** - მუნიციპალიტეტის მერის/რაიონის გამგებლის სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. მის შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი/რაიონის გამგებელი და უნდა მოიცავდეს არანაკლებ 10 წევრს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო იკრიბება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ და გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით.
- **მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაბილეობა** - მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომები საჯაროა, შესაბამისად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და ნებართვის გარეშე დაუსწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს. საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია, უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის მოსმენის საშუალებას მისცემს. საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.
- **მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა** - მუნიციპალიტეტის მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, 1 ნოემბრამდე, მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან, წარუდგინონ ანგარიში განეული მუშაობის შესახებ და უპასუხონ დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩევლს უფლება აქვს, შეუზღუდავად დაესწროს მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჯარო ანგარიშების განხილვას. მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის განეული მუშაობის შესახებ ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს.

ადგილობრივი  
თვითმმართველობის  
კოდექსის მიხედვით,  
მუნიციპალიტეტის  
ორგანოები ვალდებული  
არიან, მოახდინონ  
მოქალაქეების  
ინფორმირება  
მმართველობით პროცესებში  
მონაწილეობის  
შესაძლებლობების შესახებ.



## მოქალაქეთა ჩართულობა

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმიანობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოებს ეკისრებათ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება; მაგალითად:

### შესვედრების ოქმები

- საკრებულოს კომისიისა და ბიუროს
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს
- დასახლების საერთო კრების

### ბიუკეტთან დაკავშირებით


- ბიუკეტის კანონის პროექტი
- ბიუკეტის შესრულების ანგარიში

### სხვადასხვა ინფორმაცია

- საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა
- ქონების პრივატიზების გეგმა
- მერისა და საკრებულოს წევრის მუშაობის ანგარიშები
- პეტიცია

**ღიაგება 14. მუნიციპალიტეტის მიერ სავადებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია**

## 5.2 მოქალაქეთა ჩართულობის მაგალითები



### საქართველო

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში აღგიღობრივი მოსახლეობა ჩართულია იმ პროექტების შერჩევაში, რომელებიც უნდა განხორციელდეს მათ დასახლებაში და ემსახურება სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამასთან, ის ხელს უწყობს მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ნდობისა და ურთიერთობის გაუმჯობესებას. კერძოდ, ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა სოფლებისათვის მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნული სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრის მიზნით, რწმუნებული ორგანიზებას უწევს სოფლის კრების გამართვას. შესაბამისად, მოსახლეობა არჩევს პროექტებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს სოფლისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში. საერთო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია რამდენიმე სოფლისათვის გამოყოფილი თანხის გაერთიანება ამ სოფლების საერთო პრობლემის გადასა-წყვეტად.



### შვედეთი

შვედეთის ქალაქ პიტეაში მმართველობით ორგანოს არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რამდენად კმაყოფილი იყო მოსახლეობა მუნიციპალური მომსახურების ხარისხით. აღნიშნულ გამოწვევასთან გამკლავების მიზნით, ქალაქის ხელისუფლებამ შეიმუშავა შეფასების სისტემა, რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ, გამოხატონ თავიანთი აზრი სერვისებთან დაკავშირებით. პროექტმა


შესაძლებელი გახადა მოქალაქეების რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული ეფექტიანი პროგრამების განხორციელება და გაუმჯობესა მოქალაქეთა ჩართულობა; მაგალითად, აღნიშნული ინიციატივის შედეგად დამატებითი რესურსები გამოიყო ხანდაზმული და შშმ პირების მოვლასთან დაკავშირებით, გაუმჯობესდა საკარო ტრანსპორტი.

### კორეის რესპუბლიკა



კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში მერია მოქალაქეებს აძლევდა შესაძლებლობას, რომ მუნიციპალური სერვისების განვითარების კრეატიული იდეები წარედგინათ ხელისუფლებისათვის. კერძოდ, მოქალაქეს შეუძლო, იდეა წერილობითი ფორმით მიეტანა მერიაში, ან გაეგზავნა ელფონსტის მეშვეობით. იდეათა შერჩევის პროცესი დახურული იყო და მოქალაქეს შედეგის

შესახებ ეცნობებოდა 1 თვეში. სისტემის გაუმჯვირვალობის გამო, მწირი იყო მოქალაქეთა მოტივაცია ჩართულობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამოსასწორებლად მერიამ შექმნა სპეციალური პლატფორმა - ოაზისი, ონლაინ პორტალი - სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ ატვირთონ თავიანთი კრეატიული იდეების ატვირთვა. აღნიშნულ იდეებს აფასებენ სხვა მოქალაქეები და ის შეთავაზებები, რომელთაც ყველაზე მეტი დადებითი გამოხმაურება მოჰყვება, განიხილება მერიის მიერ შემდგომი განხორციელების მიზნით. მოქალაქეთა ჩართულობის სისტემის გამარტივებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოქალაქეების ინტერესი და მონაწილეობა.



## ავსტრალია

მოქალაქეების მოწყვლადი ნაწილის ეკონომიკური და სოციალური ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და, პარალელურად, მოქალაქეთა ჩართულობის ზრდის მიზნით, სახელმწიფომ დაარსა სპეციალური პორტალი - ჩემი დასახლების დაფინანსება - რომლის მეშვეობითაც მოსახლეობას შეუძლია, ნარმოადგინოს საგრანტო წინადადებები და მიიღოს დაფინანსება. აღნიშნული წინადადები შემდგომში ფასდება ისევ მოქალაქეების მიერ და იდენტიფიცირდება გამარტივებული პროექტი.

განაცხადების წარმოდგენის არსებული მარტივი მექანიზმი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მოქალაქეთა ჩართულობას და ხელს უწყობს გამჭვირვალე, ინკლუზიური და ეფექტური პროექტების განხორციელებას.



## ესპანეთი

მთავრობამ, ლია მმართველობის კონცეფციის დანერგვიდან გამომდინარე, შექმნა ვებპლატფორმა - ირეკია, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობებისა და ინიციატივებს შესახებ. ირეკიას შექმნის მთავარ მოტივს გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა წარმოადგენს. შესაბამისად, პლატფორმაზე ინფორმაციის განთავსების მიზანია მის ირგვლივ დისკუსიების გამართვა და უკუკავშირის მიღება; მაგალითად, მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა, წარმოადგინო ალტერნატიული მოსაზრებები, შენიშვნები თუ კომენტარები კანონის პროექტებისა და დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

## 6. მდგრადი განვითარების მიზნები

გაერო-მ 2015 წლის სექტემბერში დაამტკიცა 2030 წლის დღის წესრიგი - მსოფლიოს ტრანსფორმაცია, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანებზე, მათ კეთილდღეობასა და გარემოზე ზრუნვაზე.

2030 წლის დღის წესრიგის მისწრაფებები ასახულია 17 მდგრად განვითარების მიზანსა (Sustainable Development Goals – SDGs; შემდგომში – მიზნები/SDG-ები) და 169 ამოცანაში. SDG-ები გლობალური ბუნებისა და ამბიციური ხასიათისაა და მდგრადი განვითარების სამ კრიტიკულ სფეროდ იყოფა: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი.



### ღიაგხამა 15. მდგრადი განვითარების მიზნები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, SDG-ები აერთიანებენ საკითხების ფართო და ყოვლისმომცველ სპეციურს. ისინი, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავენ სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას, უთანასწორობის შემცირებას, მშვიდობიანი, სამართლიანი საზოგადოებების მშენებლობას, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ბუნებრივი რესურსების დაცვას.


SDG-ების განხორციელების პროცესში საქართველო ჩაერთო გაერო-ს სხვა ქვეყნებთან ერთად. მიზნების ეროვნულ კონტექსტში გადმოტანის პროცესი 2015 წელს დაიწყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე პასუხისმგებელია მიზნების ინტეგრირებაზე, კოორდინაციასა და მონიტორინგზე.

ლოგიკურია, რომ SDG-ები მკვეთრად არის გადაჭავული საჯარო ფინანსების მართვასთან, ვინაიდან მათი განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წყაროს სწორედ საჯარო ფინანსები წარმოადგენს.

მეორე მხრივ, SDG-ების წარმატებული მიღწევა დადებითად აისახება საბიუჭებო რესურსების განკარგვაზე; მაგალითად, SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანი, ძლიერი ინსიტუტების - ფარგლებში განსაზღვრული ამოცანები სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ფოკუსირებულია უშუალოდ საჭარო რესურსების მენეჯმენტსა და მოქალაქეთა ჩართულობაზე:

- ამოცანა 16.5 - კორუფციისა და ქრთამის აღების შემთხვევების არსებითი შემცირება ფინანსური კონტოლისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების შედეგად;
- ამოცანა 16.6 - უფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ინსტიტუტების ფორმირება მმართველობის ყველა დონეზე, მთავრობის ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების შედეგად;
- ამოცანა 16.7 - პასუხისმგებლობიანი, ინკლუზიური, მონაწილეობითი და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე უზრუნველყოფა გამჭვირვალობისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების მეშვეობით.

SDG-ები „არავინ დარჩეს მიღმა“ პრინციპის ირგვლივ ერთიანდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის წინსვლით მოტანილი სარგებელი უნდა აისახებოდეს ყველა მოქალაქეზე. შესაბამისად, ყოვლისმომცველი განვითარების მიღწევისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა აქტორის ჩართულობა; მათ შორის - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების, როგორც ხელისუფლების, ასევე - მოქალაქეების. ამიტომ, მიზნების წარმატებული განხორციელებისათვის საჭიროა, პროცესები ეფუძნებოდეს მოქალაქეების მაქსიმალურ ჩართულობას და მათთან მჭიდრო კომუნიკაციით გადაწყვეტილებების მიღებას. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია როგორც მუნიციპალური ხელისუფლების აქტიურობა, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიზნების მიღწევის ადვოკატირება, სხვადასხვა იდეისა და პროექტის შემუშავება და განხორციელება.

An aerial photograph showing a large agricultural field with dark, textured soil. The field is intersected by several thin, light-colored lines representing irrigation canals or furrows. In the bottom left corner, a narrow, paved road runs diagonally across the frame, bordered by a strip of green trees and bushes. The overall scene is dimly lit, suggesting either early morning or late afternoon.

**tsalkalag.ge**